

შპს „აისი,, (საიდენტიფიკაციო N227721310)

განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 შპს „აისი,, (შემდგომში „საზოგადოება,,) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ,, კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურდიული პირების რეესტრში 1998 წლის 20 იანვარს, რეგისტრაციის # 27/4-126., საიდენტიფიკაციო ნომრით: 27721310.

1.2 საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ნაყინის წარება და რეალიზაცია
- საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1 ორგანიზაციის მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად. წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი;

2.2 საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

2.3 ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის
- „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს),,
- შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

2.4 საწარმო წინა პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ,, საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;

- 2.5 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც ორგანიზაცია იყენებს მის ფასს—ზე გადასვლის შემდეგ ორგანიზაციის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;
- 2.6 უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლით კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით; საკუროსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.
- 2.7 სასაქონლო—მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;
- 2.8 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად;
- 2.9 მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე – საქონლის მიწოდების შემდეგ, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.
- 2.10 სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკუროსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;
- 2.11 დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება

როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ. დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

- 2.12 ბანკის სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა;
- 2.13 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);
- 2.14 ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე;
- 2.15 მოგების განაწილება ხდება წილობრივი მონაწილეობის მიხედვით დამფუძნებელთა კრების ოქმით. დამფუძნებლები არიან ფიზიკური პირები, შესაბამისად, გადასახადის გადახდის შემდეგ, გაიცემა დივიდენდი;

შპს „აისი“

ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობა

ს/კ 227722310

31.12.2018

აქტივები	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ძირითადი საშუალებები	1	2948210	2720809
არამატერიალური აქტივი		1204	1204
სულ გრძელვადიანი აქტივები		2949414	2722013
სასაქონლო - მატერიალური მარაგები		1996967	823239
საეაჭრო და დებიტორული დავალიანება		539	
გადახდილი ავანსები		894	95654
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		7519	10804
სულ მიმდინარე აქტივები		2005919	929697
სულ აქტივები		4955333	3651710
ვალდებულებები			
საეაჭრო ვალდებულებები		222630	
საგადასახადო ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები		2248444	3086140
სხვა ვალდებულებები დამფუძნებლები		1786901	63536
სხვა ვალდებულებები სესხის %		223098	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4481073	3149676
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		90617	172632
გაუნაწილებელი მოგება		301628	329402
სხვა რეზერვი		82015	
სულ კაპიტალი		474260	502034
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4955333	
			3651710

შპს „აისი“-ს დირექტორი

მო.ბუღალტერი

ბ.ბერიკაშვილი

ტ.წანაწყენიშვილი



შპს „აისი,, ს/კ 227722310

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

N	დასახელება	თანხა
1	შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5929783
2	ბანკიდან სესხის მიღება	

— გასაფასო

1	გადახდილი ხელფასი	306155
2	გადახდილი გადასახადები	40285
3	სესხის გადახდა (ბანკი)	561772
4	გადახდილი %	213434
5	ბანკის მომსახურების ხარჯი	2649
6	შეძენილი ბუნებრივი აირის ღირებულება	80660
7	კომუნალური გადასახადები: კომუნიკაცია(წყალი; ელექტროენერგია; დასუფთავება)	195670
8	დაცვა	25209
9	საკანცელარიო; საოფისე; ნოტარიული ხარჯი	1702
10	ა/მ რემონტი	19777
11	რეკლამა	140527
12	იჯარა	23105
13	დაზღვევა	1993
14	საწვავი	23840
15	შეძენილი მარაგი	2244385
16	შეძენილი ქონება	318115
17	მიმდინარე რემონტი	11228
18	სხვა ხარჯი	146318
19	პარტნიორზე გადახდილი სესხის თანხა	465240
20	საქვეანგარიშოდ გაცემული	1111004
	სულ გასაფასო	5933068


	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	10804
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	7519

შპს „აისი,, -ს დირექტორი

/ბ.ბერიკაშვილი/

მთ.ბუღალტერი

/ტ.წანაწყენიშვილი/



ბალანსზე დართული შენიშვნები:

შენიშვნა 1 - ფიქსირებული აქტივები

ბალანი 31 დეკემბერი 2017 წელი	
შენობა-ნაგებობა	102134
მანქანა-დანადგარები	2435420
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	89102
ნაშთი 31 დეკემბერი 2018 წელი	
შენობა-ნაგებობა	217503
მანქანა-დანადგარები	2659426
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	71281
	2948210

შენიშვნა 2 - სასაქონლო-მატერიალური მარაგი

	დასახელება	31.12.2018
1	საქონელი	312368
2	ნედლეული და მასალა	1684599
		1996967

შპს „აისი,, (ს/კ 227722310)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლის, ხარჯის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ანგარიში	შემოსავალი	თანხა
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან	3374987
	სულ შემოსავალი	
	ხარჯები	
7110	სხვა მასალები	2235607
7210	გაყიდული/შეძენილი საქონელი	119091
7310	რეკლამის ხარჯი	382694
7410	შრომის ანაზღაურება	1702
7425	საკანცელარიო ხარჯი	68356
7430/1	ბუნებრივი აირი	137635
7430/2	ელ.ენერგია	28187
7430/3	წყალი	21364
7480/1	დაცვა	
7431	დასუფთავება	16082
7432	ა/მ რემონტი	0
7445	კომპიუტერის ხარჯი	213434
8210	საპროცენტო ხარჯი	615386
7455	ცვეთა და ამორტიზაცია	1993
7435	დაზღვევა	9515
7440	მიმდინარე რემონტი	203016
7490	სხვა საერთო ხარჯი	19580
7420	საიჯარო ქირა	
		4073642
	სულ ხარჯი	
	ფინანსური დასაბეგრი მოგება	
	წინა პერიოდის გაუნაწილებელი მოგება	329402
	დარჩენილი გაუნაწილებელი მოგება	301628

შპს „აისი,, ს დირექტორი

მთ.ბუღალტერი

/ბ.ბერიკაშვილი/

/ტ.წანაწყენიშვილი/

